

საქართველოს პარლამენტი

ინფორმაცია და სტატისტიკური ანგარიში  
საქმისწარმოების დეპარტამენტის მიერ გაწეული  
საქმიანობის შესახებ  
(2020 წლის პირველი კვარტალი)

საქართველოს პარლამენტის აპარატი  
საქმისწარმოების დეპარტამენტი

## ინფორმაცია

### საქართველოს პარლამენტის აპარატის საქმისწარმოების დეპარტამენტის მიერ გაწეული საქმიანობის შესახებ 2020 წლის პირველი კვარტალი

2020 წლის 1 იანვრიდან 31 მარტის ჩათვლით, საქართველოს პარლამენტის აპარატის საქმისწარმოების დეპარტამენტში რეგისტრირებულია - 15133 დოკუმენტი. კერძოდ: შემოსული - 5467, შიდა მიმოწერა - 4748, გასული - 3590, სამართლებრივი აქტი - 1328. მიღებული და ადრესატისათვის მიწოდებულია 2300 - მდე არარეგისტრირებადი დოკუმენტი.

შემოსული დოკუმენტებიდან: 2900-ზე მეტი მოქალაქეების წერილებია, ხოლო 2500-მდე - სხვადასხვა უწყებებისა და ორგანიზაციების. მიუხედავად განსახილველი პერიოდის ბოლოს ქვეყანაში შექმნილი მდგომარეობისა, რაც უკავშირდება COVID19 -ის გავრცელებას, აღსანიშნავია საკმაოდ მაღალი ინტერესი და აქტიუობა პარლამენტის კანონშემოქმედებით საქმიანობასთან დაკავშირებით. კერძოდ, 90-ზე მეტ წერილში მოქალაქეებისა და სხვადასხვა ორგანიზაციების მიერ გამოთქმულია მოსაზრებები და შენიშვნები მიმდინარე საკანონმდებლო საქმიანობასთან დაკავშირებით, ასევე საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 105-ე მუხლის შესაბამისად, წარმოდგენილია 20-ზე მეტი საკანონმდებლო წინადადება.

პარლამენტის საზედამხედველო ფუნქციის განხორციელებიდან გამომდინარე, სახელმწიფო აუდიტის სამსახურისა და პარლამენტის წინაშე ანგარიშვალდებული სხვა ორგანიზაციების მიერ წარმოდგენილია შესაბამისი ანგარიშები.

შემოსული წერილების თემატური და სტატისტიკური ანალიზით, მოსახლეობის ძირითად პრობლემად იკვეთება ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური საკითხები, COVID 19-ის გავრცელებასთან დაკავშირებით ქვეყანაში დაწესებული შეზღუდვებიდან გამომდინარე გაიზარდა მოქალაქეთა წერილები სოციალური პრობლემების მოგვარებისა და ფინანსური დახმარების თხოვნით, კერძოდ, 700-ზე მეტი განცხადების ავტორი ითხოვს დახმარებას ჯანმრთელობის პრობლემების მოგვარებაში, 600-ზე მეტი - სოციალური პრობლემების გადაწყვეტაში, ხოლო 80-მდე განცხადება დასაქმებაში ხელშეწყობის თხოვნას შეიცავს.

ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამართლებრივ საკითხებს ეხება 1000 -ზე მეტი წერილი. ამ წერილების ავტორები არიან როგორც მსჯავრდებულები და მათი ახლობლები, რომლებიც ძირითადად უფლებების დარღვევის სხვადასხვა ფაქტებზე ამახვილებენ ყურადღებას, ასევე მოქალაქეები, რომლებიც ითხოვენ დახმარებას სისხლის სამართლის საქმეების ობიექტურ გამოძიებასა და სხვადასხვა კერძოსამართლებრივი ურთიერთობის მოწესრიგებაში.

განათლების საკითხებს ეხება 100-ზე მეტი წერილი.

გარემოს დაცვის, ეკონომიკური და ინფრასტრუქტურული საკითხების შესახებ რეგისტრირებულია 120-ზე მეტი განცხადება.

საჯარო ინფორმაციის მიწოდების მოთხოვნით, შემოსულია 100-ზე მეტი წერილი. მომართვის ავტორები არიან, როგორც კერძო პირები, ასევე არასამთავრობო ორგანიზაციები, რომლებიც ითხოვენ ინფორმაციებს პარლამენტის კომიტეტებისგან, კონკრეტული დეპუტატებისგან, გაწეული საქმიანობის, მიმდინარე საკანონმდებლო ცვლილებების შესახებ, საკანონმდებლო აქტების ასლებს და სხვა.

საინფორმაციო ხასიათისაა 1800-ზე მეტი დოკუმენტი, მათგან თითქმის 1200 პასუხია პარლამენტიდან ქვემდებარეობით გადაგზავნილ წერილებზე.

ქვეყანაში საგანგებო მდგომარეობის გამოცხადებამდე, მოქალაქეები საქართველოს პარლამენტს ხშირად მომართავდნენ წერილებით და ითხოვდნენ საქართველოს პარლამენტის კომიტეტის სხდომებზე, სხვადასხვა ღონისძიებებზე დასწრებასა და ასევე ექსკურსიას პარლამენტის ისტორიულ შენობაში.

პარლამენტის წევრებთან პირადად შეხვედრის მოთხოვნით შემოსულია 180-მდე წერილობითი მოთხოვნა.

3000-ზე მეტი წერილი შემოსულია საქართველოს დედაქალაქიდან, 2300-მდე - სხვადასხვა რეგიონიდან, ხოლო 120 ზე მეტი - საზღვარგარეთიდან.

შემოსული კორესპონდენციიდან მუშაობა დასრულებულია 4464 დოკუმენტზე. განხილვის პროცესშია 1000 - მდე დოკუმენტი.

**საქმისწარმოების დეპარტამენტში საიდუმლო საქმისწარმოების** მიმართულებით რეგისტრირებულია 221 შემოსული დოკუმენტი (მათ შორის, 30 - საიდუმლო, 191 - შეზღუდული სარგებლობის), 19 გასული საიდუმლო დოკუმენტი, აგრეთვე ნატოს კლასიფიცირებული ინფორმაცია 1 - შემოსული, 5 - გასული, 5 - სამართლებრივი აქტი.

სსიპ - საქართველოს პარლამენტის კვლევით ცენტრში შემოსული დოკუმენტები - 1;

სსიპ-საქართველოს პარლამენტის კვლევითი ცენტრიდან გასული დოკუმენტები - 5, სსიპ - საქართველოს პარლამენტის კვლევით ცენტრის დირექტორის ბრძანებები -3.

ჩატარდა საქართველოს პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისა და დეოკუპაციის საკითხებთან დაკავშირებული დროებითი კომისიის დახურული სხდომა თემაზე - „ოკუპირებულ აფხაზეთში ბოლო პერიოდის განმავლობაში განვითარებული მოვლენები“, ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისა და დეოკუპაციის საკითხებთან დაკავშირებული დროებითი კომისიისა და ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტის გაერთიანებული, დახურული სხდომა თემაზე - „საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე ჯანმრთელობის დაცვის სფეროში არსებული გამოწვევები და მათზე რეაგირების მექანიზმები“. საიდუმლო საქმისწარმოების მიერ განხორციელდა სხდომის პროცედურულ-ტექნიკური ორგანიზება, სხდომის ოქმის მომზადება და კანონმდებლობით დადგენილი სხვა ღონისძიებები. ჩატარდა შემდეგი საარქივო სამუშაოები: კანონით დადგენილი პროცედურების შესაბამისად გაფორმდა 2019 წელს საქართველოს პარლამენტში შემოსული და პარლამენტიდან გასული ყველა საიდუმლო დოკუმენტი, განხორციელდა მათი შინაგანი აღწერილობა და თითოეული დოკუმენტი ჩაიკერა, დაილუქა, მიენიჭა საარქივო ნომერი და აღირიცხა წარმოება დამთავრებული დოკუმენტებისა და საქმეების სააღრიცხვო ჟურნალში (ფორმა 26). მომზადდა კრიზისულ სიტუაციებში სახელმწიფო შენახვისათვის ეროვნულ არქივში ჩასაბარებელი და ადგილზე დასატოვებელი დოკუმენტებისა და საქმეების ნუსხა.

სსიპ-საქართველოს პარლამენტის კვლევით ცენტრში განხორციელდა საიდუმლოების რეჟიმის დაცვის უზრუნველსაყოფი ღონისძიებები, მეთოდურ - ორგანიზაციული დახმარების მიზნით, შემოწმებული და შესწავლილია „ინფორმაციის სახელმწიფო საიდუმლოებისათვის მიკუთვნებისა და დაცვის წესით“ განსაზღვრული ყველა საკითხი. შედეგად, საქართველოს პარლამენტის კვლევით ცენტრს მიენიჭა რეჟიმის ობიექტის სტატუსი.

**საპარლამენტო საბჭოების საქმიანობის უზრუნველყოფის** განყოფილებამ მონაწილეობა მიიღო სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ დაგეგმილ სამუშაო და საინფორმაციო შეხვედრებში, კონფერენციებში, სემინარებსა და პრეზენტაციებში. კერძოდ - გენდერული თანასწორობის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭოს მიმართულებით: შვედეთის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოს, ავსტრიის განვითარების სააგენტოსა და გაეროს ქალთა ორგანიზაციის მიერ ორგანიზებული პროექტის დამგეგმავ ღონისძიებაში; შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალებისა და გოგონებისათვის ჯანდაცვის სერვისების მისაწვდომობის შესახებ თემატური მოკვლევის პრეზენტაციაში; ასევე მომზადდა ინფორმაცია საგარეო საქმეთა სამინისტროსთვის გაეროს რასობრივი დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტის მიერ 2016 წელს საქართველოს მიმართ გამოცემულ დასკვნითი მოსაზრებების საპასუხოდ საქართველოს პარლამენტის გენდერული თანასწორობის საბჭოს საქმიანობის შესახებ; გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე უწყებათაშორის კომისიასთან და გაეროს მოსახლეობის ფონდთან, აზიის განვითარების ბანკთან, საქართველოში თანასწორობის მდგომარეობის შესახებ სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიშის პრეზენტაციაში მონაწილეობა; დამუშავდა ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის მიერ მომზადებული გენდერული ზეგავლენის ანგარიშები და გაიგზავნა შენიშვნები და კომენტარები; მომზადდა კომენტარები ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტისა და ჯანმრთელობის დაცვისა სოციალურ საკითხთა კომიტეტის მიერ მომზადებულ გენდერული შეფასების ანალიზზე, მომზადდა მოხსენება თემაზე ქალთა მიმართ ძალადობა, გაეროს გენდერის თემატური ჯგუფის მიერ ორგანიზებულ უმაღლესი დონის ღონისძიებისათვის; ადამიანის უფლებების, ტრანსნაციონალური კორპორაციებისა და სხვა ბიზნეს საწარმოების საკითხებზე გაეროს სამუშაო ჯგუფის მიერ 2019 წლის 3-12 აპრილს საქართველოში განხორციელებული ვიზიტის ანგარიშთან დაკავშირებით საგარეო საქმეთა სამინისტროს წარედგინა კომენტარები; გაიმართა ინტერვიუ სკაიპით გაეროს მოსახლეობის ფონდის შემფასებელთან გაეროს მიერ განხორციელებულ პროექტებზე.

ღია მმართველობის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭოს მიმართულებით: მომზადდა ღია მმართველობის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭოს 2019 წლის საქმიანობისა და ღია პარლამენტის მესამე (2018-2019 წლების) სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში, რომელიც განთავსდა პარლამენტის ვებ-გვერდზე; ღია მმართველობის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭოს საქმიანობის შესახებ ინფორმაცია - პარლამენტის 2019 წლის ანგარიშის პროექტისათვის; მომზადდა მდგრადი განვითარების მიზნების განხორციელების ხელშეწყობისა და მონიტორინგისათვის საქართველოს პარლამენტის 2019-2020 წლების სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში; ჩატარდა სამუშაო შეხვედრა პარლამენტის ახალ ვებგვერდთან დაკავშირებით, საბჭოს წევრებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების მონაწილეობით; მომზადდა საბჭოს სხდომის მასალებისა და საბჭოს დებულების ცვლილებების პროექტი. ჩატარდა საბჭოს ერთი სხდომა და მომზადდა საბჭოს 1 ოქმი;

ხაზინადართა საბჭოს მიმართულებით ჩატარდა ხაზინადართა საბჭოს წევრების ელექტრონული ფოსტით გამოკითხვა, ჩატარდა ხაზინადართა საბჭოს წევრების 2 სხდომა, მომზადდა საბჭოს 2 ოქმი, მომზადდა საბჭოს 29 გადაწყვეტილების პროექტი . მომზადდა პასუხები მოთხოვნილ საჯარო ინფორმაციებზე.

**არქივში** მიმდინარეობდა მუშაობა თანამშრომელთა პირად საქმეებზე, 1993-1998 წლებში პარლამენტში ჩამოსული ოფიციალური დელეგაციების დოკუმენტაციებზე, 1998-2016 წლების დროებითი საგამოძიებო კომისიების დოკუმენტაციებზე, 1992-2016 წლების პარლამენტის კომიტეტებისა და კომისიების მუდმივი დაცულობის დოკუმენტების რეინვენტარიზაციაზე; პარლამენტის სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულების როგორც წერილობით ასევე ზეპირ მომართვებზე გაწეულია საარქივო მომსახურება, კონსულტაცია და ტექნიკური დახმარება.

აღნიშნულ პერიოდში, მოქალაქეთა მისაღებს როგორც პირადად, ისე ტელეფონის მეშვეობით მომართა 1300-ზე მეტმა მოქალაქემ. მათ გაეწიათ შესაბამისი საინფორმაციო მომსახურება და კონსულტაცია.

განსახილველ პერიოდში, დეპარტამენტი ყოველკვირეულად ახორციელებდა დოკუმენტების შესრულების მონიტორინგს. საქართველოს პარლამენტის წევრთა თანამშრომლებს, მაჟორიტარ პარლამენტის წევრთა ბიუროების თანამშრომლებს და პარლამენტის კომიტეტებში საქმისწარმოებაზე გაპროვზებულ პირებს ელექტრონული ფოსტის მეშვეობით სისტემატურად ეგზავნებოდათ ინფორმაცია შესასრულებელი დოკუმენტების შესახებ. ამასთანავე, კომიტეტების მოთხოვნის საფუძველზე მიეწოდებოდათ სასურველი ინფორმაცია დოკუმენტბრუნვის თაობაზე.


**საქართველოს პარლამენტის აპარატის  
საქმისწარმოების დეპარტამენტი**

# საქმისწარმოების დეპარტამენტი

## ინფორმაცია დოკუმენტბრუნვის შესახებ


(2020 წლის 27 აპრილის მდგომარეობით)

რეგისტრირებულია 15133 დოკუმენტი. აქედან 5467 - შემოსული, 3590 - გასული, 4748 - შიდა ბრუნვის დოკუმენტაცია და 1328 - სამართლებრივი აქტი.




თავმჯდომარე, სპიკერატი, აპარატი - 5486

შემოსული კორესპონდენციიდან 4464-ზე მუშაობა დასრულებულია. განხილვის პროცესშია 1003 დოკუმენტი.




### შემოსული კორესპონდენციის თემატიკა



- ადამიანის უფლებათა დაცვა და სამართლებრივი საკითხები
- ჯანდაცვა და სოციალური საკითხები; დასაქმება
- განათლება, მეცნიერება, კულტურა
- გარემოს დაცვა, ეკონომიკა, რეგიონული და ინფრასტრუქტურული საკითხები
- საჯარო ინფორმაციის მოთხოვნა
- შეხვედრის მოთხოვნა
- კანონშემოქმედებითი საქმიანობა
- ექსკურსიების, სხდომებზე და სხვა ღონისძიებებზე დასწრების მოთხოვნა
- შემოსული პასუხები და ინფორმაცია
- სხვადასხვა

### შემოსული კორესპონდენციის გეოგრაფია




- თბილისი
- რეგიონები
- საზღვარგარეთი








### არქივი




- სკანირებული სამართლებრივი აქტები
- დამუშავებული პირადი საქმეები
- საარქივო მომსახურება

### საიდუმლო საქმისწარმოება



- შემოსული კორესპონდენცია
- გასული კორესპონდენცია
- სამართლებრივი აქტები
- ნატოს კლასიფიცირებული ინფორმაცია

### საპარლამენტო საბჭოების საქმიანობის ორგანიზაციული უზრუნველყოფის განყოფილება



- შეხვედრები გენდერული თანასწორობის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭოს მიმართულებით
- შეხვედრები და თემატური მოკვლევები ღია მმართველობის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭოს მიმართულებით
- ერთობლივი საკოორდინაციო საბჭოსა და ხაზინადართა საბჭოს სხდომები